ოჯახში ძალადობის პრევენციისთვის



ადგილობრივ თვითმმართველობასთან თანამშრომლობა - ოჯახში ძალადობის პრევენცია და მსხვერპლის დაცვა

ფონდი „სოხუმისა“ და
ზუგდიდის მუნიციპალიტეტის
ერთობლივი პროექტი

2016

თანამშრომლობა ზუგდიდის ადგილობრივ თვითმმართველობასთან

თანამშრომლობის დასაწყისი ყოველთვის რთულია. მით უმეტეს, არის პრობლემური მომენტები სახელმწიფო სტრუქტურებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობის დროს. ასე იყო ჩვენი მუშაობის დაწყება დასავლეთ საქართველოს რეგიონებში - 15 წლის წინათ.

მაშინ არ იყო ასე აქტუალური გენდერულ თემაზე მუშაობა, ტაბუ ედო ქალთა მიმართ ძალადობის პრობლემას... მაგრამ ჩვენ ჯიუტად მივიწევდით წინ: რეგიონებში ვქმნიდით ქალთა მხარდაჭერის ცენტრებს, ქალებს ვთავაზობდით უფასო ფსიქოლოგიურ და იურიდიულ სერვისს, ვხვდებოდით ახალგაზრდებს, ვატარებდით აქციებს ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ, ვთანამშრომლობდით ადგილობრივ ხელისუფლებასთან, ვმართავდით ტრენინგებს, ვაწყობდით რადიო და ტელეგადაცემებს, ვატარებდით კვლევებს, ვუშვებდით გაზეთებსა და ჟურნალებს...

შედეგი ნელ-ნელა მოდიოდა:

მეტი შეურიგებლობა მოძალადის მიმართ,

მეტი ტოლერანტობა საზოგადოების მხრიდან მსხვერპლის მიმართ,

მეტი მხარდაჭერა სახელმწიფოს მხრიდან,

კანონი ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ 2006 წელს,

ცვლილებები კანონში, მათ შორის ერთ-ერთი - ბოლო ხა-

ნებში: კანონს დაემატა თავი - ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მონაწილეობა ოჯახში ძალადობის პრევენციასა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების სფეროში.

ამასთანავე - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსს“ დაემატა ნორმა, რომლის მიხედვით განისაზღვრება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების (მუნიციპალიტეტის) უფლებამოსილება, მონაწილეობა მიიღოს ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ გასატარებელ ღონისძიებებში.

ზუგდიდის ადგილობრივი ხელისუფლება ერთ-ერთი პირველია, რომელიც ყოველთვის მზად იყო თანამშრომლობისთვის. მისი წარმომადგენლები ესწრებოდნენ ფონდი „სოხუმის“ მიერ ორგანიზებულ ტრენინგებს და, ბევრი სხვა კოლეგისგან განსხვავებით, სერიოზულად ეკიდებოდნენ გენდერულ თემას, ინტერესით იღებდნენ ახალ ინფორმაციას, ცოდნას, იმდიდრებდნენ გამოცდილებას და სიახლეებს ნერგავდნენ მუნიციპალიტეტში...

ამ მრავალწლიანი თანამშრომლობის შედეგია ბიუჯეტით გათვალისწინებული ერთჯერადი დახმარება ძალადობის მსხვერპლთათვის, მათი უზრუნველყოფა დროებითი საცხოვრებლით, ბიუჯეტის გენდერული აქცენტები...

ამ თანამშრომლობის ნაყოფია ფონდი „სოხუმისა“ და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის თანადაფინანსებით განხორციელებული პროექტი „ადგილობრივ თვითმმართველობასთან თანამშრომლობა - ოჯახში ძალადობის პრობლემის პრევენცია და მსხვერპლის დაცვა“.

ეს გამოცემაც ამ პროექტის ფარგლებში მომზადდა.

ფონდი „სოხუმისა“ და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ერთობლივი პროექტი

ფონდი „სოხუმისა“ და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის თანადაფინანსებით განხორციელდა პროექტი „ადგილობრივ თვითმმართველობასთან თანამშრომლობა - ოჯახში ძალადობის პრობლემის პრევენცია და მსხვერპლის დაცვა“.

პროექტის ფარგლებში მუშაობა მიმდინარეობდა 2016 წლის15 ივნისიდან 15 სექტემბრამდე.

პროექტში ჩაერთნენ 48 სოფლის რწმუნებულები, სოფლის მაჟორიტარები, სოფლად მცხოვრები ადამიანები და აქტივისტები.

პროექტის მიზანი იყო თვითმმართველობის ტერიტორიული ორგანოების წარმომადგენლების ინფორმირება და აქტიური ჩართვა ოჯახში ძალადობის პრევენციის პროცესში.

პროექტის ფარგლებში:

ჩატარდა 6 ტრენინგი თემაზე „ოჯახში ძალადობა, გენდერული მიზეზები, შედეგები, პრევენციული მექანიზმები, კავშირი ძალადობასა და გენდერულ თანასწორობას შორის“.

მწვრთნელები: ხათუნა გოგუა, ემა კამკია, თამარ კალანდაძე, გურანდა გვანცელაძე, ლალი შენგელია, ლარისა შენგელია.

ტრენინგებს დაესწრო 107 ადამიანი.

აბასთუმანი, ანაკლია, ხეცერა, ახალაბასთუმანი, ახალსოფელი, ოფაჩხაფუ, ჯუმი, უჩაშონა - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ამ ადმინისტრაციული ერთეულების და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები და დეპუტატები დაესწრნენ პირველ ტრენინგს ოჯახში ძალადობის პრევენციის საკითხებზე.

მეორე ტრენინგში მონაწილეობა მიიღეს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბაშის, კორცხელის, ნაცატუს, განმუხურის, გრიგოლიშის, დარჩელის, კიროვის ადმინისტრაციული ერთეულების და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებმა.

მესამე ტრენინგი გაიმართა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის შემდეგი ადმინისტრაციული ერთეულების - ოქტომბერი, დავითიანი,

დიდინეძი, დიდინეძის კახათი, კახათი, ერგეტა, ცვანე, ინგირი, ოირემე - და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებისთვის.

რიგით მეოთხე ტრენინგზე შეიკრიბნენ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების - ჩხორია, ზედაეწერი, ტყაია, ხურჩა, ნარაზენი, შამადელა, ორსანტია - წარმომადგენლები და საკრებულოს წევრები.

რუხი, ორულუ, ნაწულუკუ, ოდიში, ჩხოუში, ყულიშკარი, რიყე, ურთა - მეხუთე ტრენინგს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ამ ადმინისტრაციული ერთეულების წარმომადგენლები დაესწრნენ.

ბოლო, მეექვსე ტრენინგის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის შემდეგი ადმინისტრაციული ერთეულების: შამგონა, ცაიში, ცაცხვი, ჭაქვინჯი, ჭითაწყარი, ჭკადუაში, ჯიხაშკარი, ახალკახათი, კოკი - წარმომადგენლებმა.

ტრენინგის მონაწილეებისთვის მომზადდა საინფორმაციო ფურცლები. მასზე განთავსებული იყო ინფორმაცია ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მიმართული კანონის შესახებ, ასევე - ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვის არსებული მექანიზმები, ცხელი ხაზების საკონტაქტო ინფორმაცია.

საინფორმაციო ფურცელი ტრენინგის მონაწილეებმა გაავრცელეს თავიანთ სოფლებშიც.

შედეგები:

- მონაწილეებმა მიიღეს ინფორმაცია გენდერის, ოჯახში ძალადობის და რეფერალური სუბიექტების ვალდებულებების შესახებ.
- გაიგეს საკანონმდებლო ცვლილებების შესახებ - მათ დაურიგდათ საგანგებოდ მომზადებული საინფორმაციო ფურცლები, სადაც განმარტებულია ძირითადი ტერმინები და საკანონმდებლო ცვლილებები
- განუმტკიცდათ შეურიგებელი დამოკიდებულება მოძალადის და ტოლერანტული დამოკიდებულება მსხვერპლის მიმართ
- გაიაზრეს, როგორ შეიძლება ძალადობის ფაქტების მართვა
- თითოეული მათგანი მიხვდა, რაოდენ მნიშვნელოვანია მისი,

როგორც ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლის თუ სოფლის აქტივისტის, ჩართვა პრევენციის პროცესში

- ტრენინგის ყველა მონაწილემ შეავსო სპეციალურად შემუშავებული კითხვარი, კითხვარი შეავსეს სოფლის მოსახლეობის წარმომადგენლებმაც და ამ კვლევის საფუძველზე გაანალიზდა სიტუაცია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფლებში ძალადობის მხრივ
- ტრენინგის შესახებ დაიბეჭდა ინფორმაციები ფონდი „სოხუმის“ და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის ვებგვერდებზე

მონაწილეთა შორის იყვნენ სხვადასხვა ასაკის და გამოცდილების მქონე ადამიანები. ამ თემაზე ტრენინგს მათი უმეტესობა პირველად დაესწრო და ეს მათთვის აქტუალური იყო.

ტრენინგზე განხილული იქნა შემდეგი თემები:

- გენდერის არსი და გენდერული თანასწორობა
- ოჯახური კონფლიქტების მართვა
- ძალადობა ოჯახში. მისი ფორმები, გამომწვევი მიზეზები, მახასიათებლები
- ძალადობის სუბიექტები, რისკ-ჯგუფები
- ბავშვთა დაცვა ოჯახში ძალადობისგან
- მსხვერპლის და მოძალადის არქეტიპი
- სტერეოტიპული წარმოდგენები ოჯახში ძალადობაზე
- ძალადობასთან ბრძოლის სახელმწიფო რეფერალური მექანიზმი (მისი სუბიექტები, პასუხისმგებლობა)
- დამცავი და შემაკავებელი ორდერები
- არსებული რეფერირების სისტემის პრაქტიკული გამოყენება (ძალადობის შემთხვევების გამოვლენა და მართვის სტრატეგია)
- ინსტიტუციონალური თანამშრომლობა, ძალადობის პრობლემის სოციალური შინაარსი
- ინფორმაცია ცხელი ხაზების შესახებ

ტრენინგებზე განისაზღვრა, რა ასოციაციები აქვთ ძალადობასთან მიმართებაში. ასოციაციებში გაჩნდა შემდეგი სიტყვები: გინება, ლანძღვა, წყევლა, ალიაქოთი, გაუგებრობა, შეურაცხყოფა, ბრაზი, მსხვრევა, ყვირილი, დამცირება, სულიერი განადგურება, ფსიქოლოგიური სტრესი, შანტაჟი, სიძულვილი, ცემა, მრისხანება, სიკვდილი.

ტრენინგების მონაწილეებმა ისაუბრეს ძალადობის მიზეზებზე და ასეთებად დასახელდა:

- ეკონომიკური პრობლემები, დაუსაქმებლობა
- უთანასწორობა ოჯახში და პოლიტიკაში
- სახელმწიფოს მხრიდან ზრუნვის ნაკლებობა
- ქალების მიგრაცია
- მამების ნაკლები როლი აღზრდის პროცესში
- ალკოჰოლი, ნარკოტიკები
- აზარტული თამაშები
- ფსიქოლოგიური პრობლემები
- ინტერნეტის მავნე გავლენა
- ნაადრევი ქორწინებები
- არარეალიზებული გოგონების გათხოვება
- ქმარზე დამოკიდებულება
- ღალატი
- ეჭვიანობა
- უსიყვარულოდ შექმნილი ოჯახები
- ბავშვობაში ტრავმირებული ახალგაზრდები

ტრენინგებზე არაერთი ისტორია გაიხსენეს - ალკოჰოლდამოკიდებული ცოლ-ქმარი როგორ ძალადობს ერთმანეთზე და მცირეწლოვან შვილებზე, ძალადობა მოხუცი დედის მიმართ, ეკონომიკურად ძლიერი ქალის ძალადობა ქმარზე, ქმრის ძალადობა ცოლზე...

ასევე დასახელდა ფაქტი, როდესაც ოჯახში ძალადობდნენ დედმამა და მათი სრულწლოვანი შვილი, რის შედეგადაც მისი მხრიდან ორჯერ სუიციდის მცდელობაც დაფიქსირდა.

პატრულის და სასამართლოს ჩარევას ყველაზე ბოლო აკორდად მიიჩნევენ, რადგან მეგრელი მამაკაცისთვის ეს შეურაცხმყოფელია. ცოლმა რომ პატრული გამოიძახოს, არც ერთი მამაკაცი არ დატოვებს ასეთ ცოლს ოჯახში, ამიტომ მსგავსი ჩარევა უარყოფითად მოქმედებს.

ტრენინგის მსვლელობის დროს მონაწილეთა მხრიდან ხშირად იყო ხაზგასმული საზოგადოების ინდიფერენტული დამოკიდებულება და დაფიქსირდა სოფლებში ამ კუთხით აქტიური მუშაობის საჭიროება. დასახელდა რამდენიმე შემთხვევა, როცა სოფლის გამგებელს მიმართეს დახმარებისთვის ოჯახური პრობლემის დასარე-

გულირებლად, მაგრამ მათ მხოლოდ რჩევის მიცემა შეუძლიათ და ამისამართებენ იურისტთან.

მონაწილეები მიიჩნევენ, რომ მნიშვნელოვანია კანონში შეტანილი ცვლილება, რომელიც გულისხმობს ადგილობრივი თვითმმართველობის ჩარევას ოჯახში ძალადობის პრევენციის და მსხვერპლის დაცვის საქმეში.

რეკომენდაციები

ტრენინგების ბოლო კომპონენტი იყო მონაწილეების მიერ რეკომენდაციების შემუშავება ოჯახში ძალადობის პრევენციისათვის.

ყოველ ტრენინგზე სამ-სამმა ჯგუფმა შეიმუშავა წინადადებები - სულ 18 ჯგუფის რეკომენდაციები დაფიქსირდა. მათი შეჯამების შედეგად წინადადებები ასე შეიძლება დაჯგუფდეს:

ძალადობის პრევენცია

სოფლის და მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ინფორმირება - ტრენინგების, ვორკშოპების, საინფორმაციო შეხვედრების ჩატარება

შესაბამისი ორგანოების ჩართულობის ხელშეწყობა

ინფორმირება, თუ რა სამართლებრივი და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა ეკისრება მოძალადეს

ახალგაზრდა ოჯახებთან საინფორმაციო მუშაობა

სოციალური მუშაკების გადამზადება, მათი რაოდენობის დამატება - ასაკის შეუზღუდავად და აქტიური ჩართვა

არასამთავრობო სექტორის რესურსის გამოყენება

ტაძრების აშენება სოფლებში და სასულიერო პირების ჩართვა პრევენციის პროცესში

სამუშაო ადგილების ხელშეწყობა, მეტი სახელმწიფო პროგრამა პერიფერიებში დასაქმებისათვის, სამუშაო ადგილების შექმნა სოფლებში (სოციალური და მცირე საწარმოები)

სოფლის მეურნეობის პროექტების დაფინანსება იაფი სესხებით - მაგ. მეფუტკრეობის კუთხით

დღის ცენტრების გახსნა სოფლად (ტრენინგების ჩატარება,

ჭრა-კერვის, ქარგვის, ქსოვის შესწავლა - ასაკოვანი ადამიანების გამოცდილების გაზიარება)

მოხუცთა თავშესაფრის მოწყობა სოფელში

კონტროლი სხვადასხვა უწყებაში, რომ არ მოხდეს ტანამშრომელთა უფლებების დარღვევა

ყველა სოფელში კონფლიქტური ოჯახების მონაცემთა ბაზის შექმნა

სოფლებისთვის საკუთარი ბიუჯეტის გამოყოფა ძალადობის პრევენციისთვის

3-5 კაციანი ჯგუფების შექმნა კონფლიქტურ ოჯახებთან მუშაობისა და სოფლებში კონფლიქტური სიტუაციის პრევენციისთვის

საგანმანთლებლო საქმიანობის გაფართოება გენდერული თანასწორობის თემაზე

სკოლისა და თვითმმართველობის თანამშრომლობის ხელშეწყობა - ტრენინგები, ვორკშოპები, სხვადასხვა ღონისძიება საგანმანათლებლო დაწესებულებებში

სკოლებში დამატებითი საათის შემოღება ოჯახის ფუნქციებზე და მოვალეობებზე

საინფორმაციო სამუშოს ჩატარება ახალგაზრდებთან (გოგონებთან და ბიჭებთან)

გასართობი ცენტრები ახალგაზრდების მოზიდვის მიზნით

ახალგაზრდა ადგილობრივი მწვრთნელების მომზადება - მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფის ინფორმირება

ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვა - სპორტული მუშაობის გააქტიურება და ხელშეწყობა, ახალგაზრდების ჩართვა სპორტში

მედიისა და პრესის მეშვეობით ძალადობის თემაზე ინფორმაციის გავრცელების ხელშეწყობა.

ფსიქოლოგების შეხვედრა მოსახლეობასთან

ფსიქოლოგის კონსულტაციები როგორც მსხვერპლისთვის, ისე მოძალადისთვის

სტუდენტ ფსიქოლოგთა მომზადება და სტაჟირება (ერთი სტაჟიორი - გრაფიკის მიხედვით რამდენიმე სოფელში)

კონკრეტული მუშაობა მიგრაციის შემცირებისთვის

ანონიმური ყუთი სოფლის კონკრეტულ ობიექტზე, სადაც თითოეული მოსახლე შეძლებს თავისი აზრის დაფიქსირებას პრობლემურ საკითხებთან დაკავშირებით

ინფრასტრუქტურული პროექტები - გზები, საბავშვო გასართობი ცენტრები, სპორტული მოედნების კეთილმოწყობა

მსხვერპლის დახმარება

ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა იდენტიფიკაცია

ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულებში მეტი თანხის გამოყოფა მსხვერპლთა დასახმარებლად

ფსიქოლოგიური დახმარება-რეაბილიტაცია

მსხვერპლთა უზრუნველყოფა საცხოვრისით

საკოორდინაციო საბჭოს შექმნა მსხვერპლთა დახმარების მიზნით ფსიქოლოგების, სოციოლოგების, პედაგოგების, ექიმების, პატრულის წარმომადგენლების მონაწილეობით

ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრის გახსნა მუნიციპალიტეტში

საზოგადოებაში მსხვერპლის ინტეგრაციის ხელშეწყობა

თვითმმართველობის მოხელის უშუალო ჩარევა. ახსნა-განმარტებითი სამუშაოების ჩატარება.

საგანმანათლებლო-საინფორმაციო მუშაობა მსხვერპლთან

ფინანსური დახმარება, ეკონომიკური დამოუკიდებლობის ხელშეწყობა

სხვადასხვა სახელმწიფო პროგრამაში ჩართვა

დასაქმების კუთხით ბიზნეს პროექტების განხორციელებაში ხელშეწყობა

მოძალადესთან მუშაობა

ფსიქოლოგის დახმარების უზრუნველყოფა

მოძალადის მიმართ სანქციების გამკაცრება

სარეაბილიტაციო ცენტრების მოწყობა მოძალადეებისთვის (ალკოჰოლდამოკიდებულისა და ნარკოდამოკიდებულთათვის)

მოძალადის ეკონომიკური გაძლიერების ხელშეწყობა, მისი თვითშეფასების ამაღლება

ძალადობის მიზეზების დადგენა და მოტივაციის გაანალიზება

ფსიქოლოგიური გადახრების მკურნალობაში ხელშეწყობა

უკუკავშირი

ტრენინგის ბოლოს მონაწილეებმა შეავსეს შეფასებითი ანკეტები. უმეტესობამ ტრენინგი უმაღლესი - 5 ქულით შეაფასა. თუმცა იყო რამდენიმე, რომელსაც, მისი შეფასებით, ბევრი სიახლე არ მიუღია ტრენინგისგან.

მონაწილეებისთვის ყველაზე საინტერესო იყო: ოჯახში ძალადობის აღმოფხვრის მიზეზები, დაცვის მექანიზმებზე საუბარი, ქალისა და მამაკაცის თანასწორუფლებიანი ქცევის მოდელი, რეკომენდაციების შემუშავებაში მონაწილეობის მიღება, თანასწორობის პრინციპების განხილვა, კანონთან დაკავშირებული ინფორმაცია.

ზოგ მონაწილეს მოეწონა ყველა განხილული საკითხი, რადგან, მისი აზრით, ნებისმიერი ინფორმაცია ძალადობის წინააღმდეგ გამოსადეგია. ერთ-ერთმა მონაწილემ აღნიშნა: თემა ჩემთვის არ იყო ახალი, მაგრამ ტრენერებმა გამიღრმავეს ამ მიმართულებით ცოდნა, კარგად ერკვევიან საკითხებში. მათ საქმიანობას შევაფასებდი უმაღლესი ქულით. დიდი მადლობა ორგანიზაციის ყველა თანამშრომელს!

დასკვნა

გამოვლინდა ტრენინგის მონაწილეების მზადყოფნა, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები აქტიურად ჩაერთვებიან პრევენციულ ღონისძიებებში და მეტ დახმარებას გაუწევენ მსხვერპლს.

ტრენინგის შედეგად გაირკვა, რომ მონაწილეები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ საზოგადოების ინფორმირების დონის ამაღლებას, რადგანაც მიაჩნიათ, რომ ეს იწვევს პრობლემის მოუგვარებლობას.

გამოიკვეთა:

- მონაწილეებისთვის მნიშვნელოვანია მეტი ინფორმაციის მიღება ადამიანის ძირითადი უფლებების და ოჯახში ძალადობის კუთხით
- ტრენინგების, ვორკშოპების, საინფორმაციო შეხვედრების ჩატარება სხვადასხვა ჯგუფთან
- დასაქმების, ეკონომიკური დამოუკიდებლობის ხელშეწყობა
- სოფლის ავტორიტეტებისგან 2-3 კაციანი ჯგუფის შექმნა კონფლიქტური სიტუაციების პრევენციის მიზნით
- ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრის მოწყობა სოფელში
- მოხუცთა თავშესაფრის მოწყობა სოფელში
- სარეაბილიტაციო ცენტრების გახსნა მოძალადისთვის / ალკოჰოლდამოკიდებულის / ნარკოდამოკიდებულისთვის
- სოციალური მუშაკების მეტი ჩართულობის, გადამზადების და მათი რაოდენობის გაზრდის აუცილებლობა
- სკოლებთან თანამშრომლობის გააქტიურება

PINK FLOW

• საკანონმდებლო კანონმდებლობით
გათვალისწინებული ვებინარების
ორგანიზებულია 14 წლის ასაკიდან
უფროსი ან/და, მაბამთან სასამართლოს
თანამი ეფექტურობისა და ეკონომიური
ინტერესების დასაცავად.

PINK FLOYD

ოჯახში ძალადობის პრობლემის სიტუაციური ანალიზი ზუგდიდის მუნიციპალიტეტში

კვლევის ანგარიში

1. წინათქმა

წინამდებარე კვლევა განხორციელდა კულტურულ-ჰუმანიტარული ფონდი „სოხუმის“ მიერ, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის დაკვეთით, პროექტის „ადგილობრივ თვითმმართველობასთან თანამშრომლობა - ოჯახში ძალადობის პრობლემის პრევენცია და მსხვერპლის დაცვა“ ფარგლებში.

მოცემული პროექტის მიზანია ოჯახში ძალადობის პრევენციის და დაზარალებულთათვის სოციალური სერვისების მიწოდების საკითხის გაუმჯობესება სამიზნე მუნიციპალიტეტში. პროექტი დაფინანსებულია ზუგდიდის თვითმმართველობის მიერ და ხორციელდება მუნიციპალიტეტის 48 თემის წარმომადგენელთა ჩართულობით. პროექტის ფარგლებში გათვალისწინებული იყო ტრენინგები თვითმმართველობის წარმომადგენლებისა და თემის აქტივისტებისთვის, რაც ხელს უწყობს ოჯახში ძალადობის პრევენციას, შემთხვევების იდენტიფიცირებისა და მართვის საკითხში თვითმმართველობის ჩართვას და მისთვის ახალი საკანონმდებლო ცვლილებებით განპირობებული უფლებამოსილების განხორციელებას; დაინტერესებულ მხარეებთან უკეთეს კოორდინაციას; თავად პრობლემისადმი ადეკვატური დამოკიდებულების და დაზარალებულთა საჭიროებებზე დროული რეაგირების პოლიტიკის დანერგვას.

ფართოდ აღიარებულია, რომ ოჯახსა და სოციუმში ძალადობისაგან დაცული გარემოს შესაქმნელად აუცილებელია სახელმწიფოსა და საზოგადოების ფართო კონსესუსი, რაც წარმოუდგენელია პრობლემის მიმართ პრინციპულად შეურიგებელი დამოკიდებულების, დაზარალებულთა დახმარების სათანადო პროგრამების გარეშე. ამ თვალსაზრისით, მისასალმებელია ზუგდიდის ადგილობრივი თვითმმართველობის პოზიცია, შეისწავლოს მუნიციპალიტეტში ოჯახში ძალადობის პრობლემის მასშტაბები, უზრუნველყოს პრობლემაზე ადეკვატური რეაგირებისთვის საჭირო ადგილობრივი სოციალური პოლიტიკა და ჯეროვნად შეასრულოს სახელმწიფოს მიერ მინიჭებული უფლებამოსილება ძალადობის პრევენციისა და მსხვერპლის დახმარების კუთხით; გაამყაროს და განავითაროს ამ

კუთხით უკვე არსებული ადგილობრივი პოლიტიკა და პრაქტიკა.

ჩატარებული კვლევის მიზანი იყო ზუგდიდის მუნიციპალიტეტში ოჯახში ძალადობის პრობლემის კუთხით არსებული მდგომარეობისა და სოციალური მომსახურების მიწოდების პრაქტიკის ხარისხის ანალიზი.

კვლევის მიზნის განსახორციელებლად გამოყოფილი იყო შემდეგი საკვლევი ერთეულები/ამოცანები: ოჯახში ძალადობის პრობლემის სიმწვავის აღქმის განსაზღვრა; ძალადობისაგან დაცვის კანონის შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობის ხარისხის გამოვლენა; ოჯახში ძალადობის ძირითადი ფორმების, გამომწვევი მიზეზების, ძალადობის ობიექტების განსაზღვრა; ოჯახში ძალადობის აღკვეთაში ჩართული რგოლების საქმიანობის ეფექტურობის გამოვლენა.

მოცემული კვლევა უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის არეალში ოჯახში ძალადობის პრობლემის სიმწვავის აღქმის, ძალადობის გამომწვევი მიზეზების, მისი გადაჭრისთვის უფრო ეფექტური ინტერვენციის საჭირო ზომებზე საბაზისო ინფორმაციის შეგროვებასა და ანალიზს, რაც ხელს შეუწყობს სპეციფიკური სოციალური მომსახურების სტრატეგიის ჩამოყალიბებას სამიზნე მუნიციპალიტეტში. კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, უნდა გამოიკვეთოს ძირითადი სოციალური და ინსტიტუციური საკითხები, რომელთა მოგვარებაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს სოციალური უზრუნველყოფის სფეროს ზუგდიდის მუნიციპალიტეტში. ამასთან, კვლევა ხელს შეუწყობს ოჯახში ძალადობის აღკვეთაში მონაწილე სხვადასხვა აქტორს შორის მეტი თანამშრომლობის პრაქტიკას.

კვლევა განხორციელდა 2016 წლის ივლისში, მუნიციპალიტეტის 48 თემში. ქვემოთ მოცემულია კვლევის მეთოდოლოგია, კვლევის შესახებ მოკლე ინფორმაცია, ძირითადი მიგნებები/დასკვნები და რეკომენდაციები.

2. კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის მიზნებისა და ამოცანების გადასაჭრელად ფონდმა „სოხუმმა“ გამოიყენა რაოდენობრივი კვლევის და ანალიზის მეთოდოლოგია, რომელზე დაყრდნობითაც განახორციელა კვლევის საველე სამუშაოები.

საკითხისა და კვლევის მიზნის შესაბამისად შერჩეული იქნა კვლევის რაოდენობრივი მეთოდი, კერძოდ კი გამოკითხვა. მეთოდი გვაძლევს საშუალებას, მცირე დროსა და მცირე ხარჯებით, სიღრმისეულად იქნეს შესწავლილი საკითხი. შესაძლებელია შედეგების განზოგადება მთელ მუნიციპალიტეტზე. შედეგები გამოისახება რიცხვებში, რაც გვაძლევს მათი სტატისტიკურად დამუშავებისა და ცვლადებს შორის კორელაციის (თანაფარდობის) გამოვლენის საშუალებას. შესაძლებელი ხდება შევისწავლოთ საზოგადოებაში არსებული შეხედულებები და ტენდენციები.

შემუშავებული იყო კითხვარი, რომელიც იყოფოდა რამდენიმე ბლოკად: დემოგრაფიული ბლოკი, ძირითადი კითხვები (იხ. დანართი).

გამოკითხულ რესპონდენტთა რაოდენობამ შეადგინა 1600 ადამიანი. მას შემდეგ, რაც შემთხვევითი შერჩევის მეთოდით გამოიყო 320 რესპონდენტის პასუხი, მიღებული მონაცემებისთვის მინიჭებული იყო კოდები. შედეგები დამუშავდა კომპიუტერული პროგრამის SPSS-ის საშუალებით.

შესაძლებელია, რესპონდენტებისგან მიღებული პასუხები არ იყოს სრულიად გულწრფელი, რადგან მოსალოდნელია, რომ გამოკითხულებმა არ ისურვონ თავიანთი პოზიციის დაფიქსირება სოციალური სტერეოტიპების გამო, ან არ გაგვანდონ მათი პრობლემა (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რადგან შეიძლება, ეჭვი შეიტანონ იმაში, რომ ინფორმაციის კონფიდენციალურობა დაცული იქნება. არის ალბათობა იმისაც, რომ ვერ მოვახერხოთ შერჩევის სწორი განსაზღვრა და ეჭვის ქვეშ დადგეს კვლევის რეპრეზენტატულობა. ასევე პრობლემურია კითხვარის ვალიდურობისა და სანდოობის განსაზღვრა, რადგან აღნიშნული კვლევის საველე სამუშაო ჩატარდა არაკვალიფიციური ინტერვიუერების (ამ შემთხვევაში გამგებლის წარმომადგენლების) დახმარებით, რომელთაც არ გააჩნდათ მკვლევარებისთვის საჭირო პრაქტიკული უნარ-ჩვევები. თუმცა კვლევის დაწყებამდე ინტერვიუერებმა მიიღეს შესაბამისი ინსტრუქტაჟი, მათ გააცნეს კვლევის მიზნები, ახსნილი იყო შერჩევის ლოგიკა და რესპონდენტთა შერჩევის კრიტერიუმები, ვესაუბრეთ გამოკვლევაში მათ როლსა და ,,ინტერვიუერის გავლენის'' ეფექტის შემცირების გზებზე.

რაც შეეხება რაოდენობრივი კვლევისთვის დამახასიათებელ აუცილებლობას - შერჩევის რეპრეზენტატულობას (რაც ნიშნავს, რომ შერჩევითი ერთობლიობის პარამეტრები ზუსტად ასახავს გენერალურ ერთობლიობას, რის გამოც მკვლევარს შეუძლია იკვლიოს ადამიანთა მცირე ჯგუფი, მაგრამ შედეგები მთელს გენერალურ ერთობლიობაზე განაზოგადოს), ინტერვიუერთა არასაკმარისი გამოცდილების გამო ისიც ნაკლებად რეპრეზენტაბელურად შეიძლება მივიჩნიოთ.

შერჩევის სავარაუდო მაღალი ცთომილება დაკავშირებულია ასევე იმ ფაქტთან, რომ არსებობს რისკი, რესპონდენტებმა უარყონ ან დაფარონ გარკვეული ქცევები, რომლებიც დაკავშირებულია საზოგადოებაში სტიგმატიზირებულ მოვლენასთან. სამეგრელოში ოჯახში ძალადობის პრობლემა განსაკუთრებით აღქმულია, როგორც ტაბუდადებული თემა. ამიტომაც, მოცემული კვლევის ფარგლებში ძნელი შესამოწმებელია, როგორი იყო ინტერვიუერსა და რესპონდენტებს შორის სოციალური ინტერაქცია, რომლის მიზანიც იყო ინტერვიუერის მხრიდან პრობლემაზე რეალური ინფორმაციის მოპოვება.

მიუხედავად ამისა, მიღებული მონაცემები საშუალებას იძლევა, განზოგადდეს კვლევის შედეგები და გაკეთდეს გარკვეული მიგნებები / დასკვნები.

3. კვლევის შედეგების აღწერა

კულტურულ-ჰუმანიტარული ფონდი „სოხუმის“ მიერ ზუგდიდის მუნიციპალიტეტში ჩატარებული იქნა ოჯახში ძალადობის პრობლემის სიტუაციური კვლევა. კვლევის გენერალურ ერთობლიობას წარმოადგენდა 1600 რესპონდენტი, რომელთაგან შერჩევით ერთობლიობას წარმოადგენს 320 რესპონდენტი (ბიჯი 5).

კვლევის დემოგრაფია: რესპონდენტთა ასაკი მერყეობდა 18-დან 86 წლამდე, გამოკითხულთა საშუალო ასაკი არის 39 წელი, ხოლო ყველაზე ხშირად დაფიქსირებული ასაკი (მოდა) - 30 წელი.

კვლევის შერჩევითი ერთობლიობის 58% (188 რესპონდენტი) არის მდედრობითი სქესის, ხოლო 42% (132 რესპონდენტი) არის მამრობითი სქესის (იხ. დიაგრამა N1).

დიაგრამა N1



კვლევაში მონაწილეთა უმრავლესობა (54%) უმუშევარია, ხოლო დასაქმებულთა საქმიანობის სფერო შემდეგნაირად გადანაწილდა (იხ. დიაგრამა N2).

დიაგრამა N2



კითხვარში გამოყენებული იყო „ლაიკერტის შკალა“, რომელზეც რესპონდენტებს ჰქონდათ საშუალება, დაეფიქსირებინათ თავიანთი დამოკიდებულება შემდეგი დებულებისადმი: „ოჯახში ძალადობა აქტუალური, მწვავე საკითხია“ (იხ. დიაგრამა N3).

დიაგრამა N3



როგორც დიაგრამიდან ვხედავთ, რესპონდენტთა სრული უმრავლესობა „სრულიად ეთანხმება“ ან „ეთანხმება“ ამ მოსაზრებას (Mean=1.84), რაც იმას ნიშნავს, რომ დებულება რესპონდენტთა მიერ მკვეთრად დადებითადაა შეფასებული. საინტერესოა სქესის და აღნიშნული დებულების ურთიერთმიმართება, რაც გვიჩვენებს, რომ ძალადობის პრობლემას ქალები უფრო აღიარებენ, ვიდრე მამაკაცები - 80% (იხ. დიაგრამა N4). თუმცა მოცემული მონაცემების მიხედვით, ჯამში, გამოკითხულ რესპონდენტთა 88%-თვის ოჯახში ძალადობა აქტუალური საკითხია.

დიაგრამა N4



როგორც დიაგრამიდან ჩანს, მამაკაცთა 17% არ ეთანხმება/სრულიად არ ეთანხმება აღნიშნულ მოსაზრებას და ოჯახში ძალადობას არ მიიჩნევს მწვავე და აქტუალურ საკითხად, მაშინ როდესაც ქალთა მხოლოდ 4% აფიქსირებს ანალოგიურ პოზიციას.

ოჯახში ძალადობის საკანონმდებლო რეგულაციებზე ინფორმირებულობის ხარისხი: ოჯახში ძალადობის აღკვეთის სახელმწიფო კანონის არსებობის შესახებ რესპონდენტთა სრული უმრავლესობა - 82% არის ინფორმირებული.

სქესისა და ინფორმირებულობის დონის კროსტაბულაციით (ურთიერთმიმართებით) კი დგინდება, რომ ქალთა 84%-მა იცის კანონის არსებობა, ასევე მამაკაცთა 78%-ს აქვს კანონის შესახებ ინფორმაცია.

რაც შეეხება ინფორმირებულობის ხარისხს საქმიანობის სფეროს მიხედვით - სახელმწიფო სტრუქტურებში დასაქმებული ადა-

მიანები ყველაზე უფრო არიან ინფორმირებულნი კანონზე. სოფლის მეურნეობაში დაკავებულთა 25%-მა კი არ იცოდა კანონის არსებობის შესახებ (იხ. დიაგრამა N5).

დიაგრამა N5



კითხვას - „განხორციელებულა თუ არა თქვენზე, თქვენი ოჯახის წევრზე, ახლობელზე, მეზობელზე რაიმე სახის ძალადობა“ - რესპონდენტთა უმრავლესობა (60%) უარყოფით პასუხს სცემს (კითხვის მსგავსი ფორმულირება განპირობებული იყო იმით, რომ რესპონდენტებს, ზოგადად, უჭირთ იმის აღიარება, რომ მათ, ან მათ ახლობლებს შეხება აქვთ ოჯახში ძალადობის პრობლებასთან) (იხ. დიაგრამა N6).

დიაგრამა N6



დიაგრამის მიხედვით, რესპონდენტთა 7%-ს უჭირს პასუხის გაცემა კითხვაზე, რაც შეიძლება ნიშნავდეს იმასაც, რომ მათ არ სურთ ამ საკითხის ღიად აფიშირება.

გამოკითხულთა 40%, პასუხებიდან გამომდინარე, ადასტურებს მომხდარ ძალადობის ფაქტს, რაც იმას ნიშნავს, რომ ყოველი მე-4 ადამიანი ძალადობის მსხვერპლია.

ძალადობის სავარაუდო მსხვერპლის იდენტიფიცირების კუთხით: რესპონდენტები ძალადობის მსხვერპლად სხვადასხვა პროცენტულობით ასახელებენ ქალებს, მამაკაცებს, მოხუცებს, ბავშვებს, თუმცა, უმეტესად, მსხვერპლად მაინც ქალი სახელდება (იხ. დიაგრამა N7).

დიაგრამა N7



<u>ძალადობის ფორმები:</u> რესპონდენტების მოსაზრებით, ძალადობის ფორმებიდან ყველაზე ხშირად აქვს ადგილი ფსიქოლოგიურ ძალადობას (მსგავს პოზიციას აფიქსირებს გამოკითხულთა 50%). ფიზიკური ძალადობის პრობლემას გამოკითხულთა 32% უსვამს ხაზს (იხ. დიაგრამა N8).

დიაგრამა N8



ორივე სქესი ძალადობის სხვადასხვა ფორმის სიხშირის თვალსაზრისით დაახლოებით ერთსა და იმავე პოზიციას აფიქსირებს, იმ განსხვავებით, რომ სექსუალური ძალადობის პრობლემას მხოლოდ მდედრობითი სქესი აღნიშნავს (კერძოდ, მათი 2%) (იხ. დიაგრამა N9).

დიაგრამა N9



	მდედრობითი	მამრობითი
ფიზიკური	33%	31%
ფსიქოლოგიური	49%	53%
ეკონომიკური	16%	16%
სექსუალური	2%	0%

<u>ოჯახში ძალადობის მაპროვოცირებელი მიზეზები:</u> ოჯახში ძალადობის მიზეზად დასახელებულ ჩამონათვალში გამოკითხული ქალები და მამაკაცები უფრო ხშირად ასახელებენ მატერიალურ პრობლემებს. ასევე - ალკოჰოლიზმს, ნარკომანიას და სხვა დამოკიდებულებებს (იხ. ცხრილი N1).

ცხრილი N1

	ქალი	კაცი
სტრესი	9%	13%
მატერიალური პრობლემები	48%	52%
აზრთა სხვადასხვაობა	13%	7%
ეჭვიანობა	12%	11%
ალკოჰოლიზმი, ნარკომანია, სხვ. დამოკიდებულება	15%	16%
სხვა	3%	1%

მოცემული ცხრილის მიხედვით, „სტრესი“, მამაკაცების აზრით, უფრო მეტად არის ძალადობის მაპროვოცირებელი (13%), ვიდრე ქალების აზრით (9%). „აზრთა სხვადასხვაობას“, როგორც ძალადობრივი კონფლიქტების ხელშემწყობ მიზეზს, ქალები უფრო ხშირად ასახელებენ (13%), ვიდრე კაცები (7%).

პასუხი „სხვა“ დააფიქსირა ქალების 3%-მა და კაცების 1%-მა. უფრო ხშირად, რესპონდენტები არ განმარტავენ, თუ რას გულისხმობენ სავარაუდო პასუხში.

საინტერესოა ძალადობის მიზეზებისადმი რესპონდენტების დამოკიდებულება ასაკობრივი კატეგორიის მიხედვით. რაც უფრო მეტია გამოკითხულთა ასაკი, მით უფრო მეტად მიიჩნევენ ისინი ძალადობის მაპროვოცირებელ მიზეზად მატერიალურ მდგომარეობას (მათი 83%). სტრესს, როგორც ძალადობის ხელშემწყობ ფაქტორს, ისინი სრულიად გამორიცხავენ. ეჭვიანობის, აზრთა სხვადასხვაობის ფაქტორის აღქმა, როგორც პრობლების ხელშემწყობისა, ასაკობრივი დონის ზრდასთან ერთად ასევე - მცირდება. ალკოჰოლიზმი და სხვა დამოკიდებულებები ყველა ასაკობრივ კატეგორიას თანაბრად მიაჩნია ერთ-ერთ მიზეზად (13-დან 22%-მდე) (იხ. დიაგრამა N10).

დიაგრამა N10



	18-25	26-35	36-45	46-55	56-65	66-75	76-86
სტრესი	17%	8%	10%	6%	15%	11%	0
მატერიალური პრობლემები	41%	43%	55%	56%	60%	56%	83%
აზრთა სხვადასხვაობა	16%	14%	6%	10%	4%	11%	0%
ეჭვიანობა	11%	17%	10%	11%	3%	0%	0%
ალკოჰოლიზმი, ნარკომანია, სხვ. დამოკიდებულებები	13%	14%	17%	15%	14%	22%	16%
სხვა	2%	4%	2%	2%	4%	0%	0%

<u>რეაგირება ძალადობის შემთხვევებზე:</u> როგორც კვლევის მასალები გვიჩვენებს, სხვადასხვაა ქალების და კაცების მხრიდან ძალადობაზე რეაგირების ფორმებიც. ქალები უფრო ხშირად მიმართავენ ნათესავებსა და მეგობრებს (16%). უფრო ხშირად ამჯობინებენ მოთმინებას (12%). ყველაზე ხშირად არჩეული იყო პასუხი „არ ყოფილა შემთხვევა, როდესაც ჩემზე ან ჩემს ნათესავზე განხორციელდა ძალადობა", რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს კვლევის ნაკლებ რეპრეზენტაბელურობაზე (იხ. ცხრილი N2).

ცხრილი N2

	ქალი	კაცი
მივმართე შესაბამის ორგანოებს	13%	22%
მივმართე ნათესავებს, მეგობრებს	19%	16%
შევეცადე, თავად გამეწია წინააღმდეგობა და მომეგვარებინა სიტუაცია	6%	6%
გავეყარე, განვქორწინდი	1%	1%
ვამჯობინე მოთმინება	12%	9%
არ ყოფილა შემთხვევა, როდესაც ჩემზე ან ჩემს ნათესავზე განხორციელდა ძალადობა	47%	42%
სხვა	2%	4%

<u>ვის ჩარევას მიიჩნევენ უფრო ეფექტურად ოჯახში ძალადობის შემთხვევაში:</u>

რესპონდენტები ინტერვენციის ეფექტურობის კუთხით ყველაზე ხშირად ასახელებენ პოლიციას, ასევე - სოციალურ მუშაკებს, სოფლის რწმუნებულს. მათგან პოლიციის ჩარევას ოჯახში ძალადობის შემთხვევაში უფრო ეფექტურად მიიჩნევს კაცების 33% და ქალების 27%. სოფლის რწმუნებულის ჩარევა მიაჩნია ყველაზე ეფექტურად კაცების 23%-ს და ქალების 19%-ს. პასუხი „არც ერთი" დააფიქსირა კაცების 9%-მა და ქალების 12%-მა.

რესპონდენტები ნაკლებად ხედავენ არასამთავრობო ორგანიზაციის ჩარევის მნიშვნელობას. პედაგოგები, როგორც რეფერირების სუბიექტები, მისაღები აღმოჩნდა მხოლოდ გამოკითხულთა 2%-ისთვის (იხ. ცხრილი N3).

ცხრილი N3

	ქალი	კაცი
პოლიცია	27%	33%
სოციალური მუშაკი	26%	23%
სოფლის რწმუნებული	19%	23%
არცერთი	12%	9%
სასამართლო	9%	7%
არასამთავრობო ორგანიზაცია	5%	4%
პედაგოგი	2%	1%

რაც შეეხება საკითხისადმი სხვადასხვა სოციალური სტატუსის მქონე რესპონდენტთა დამოკიდებულებას, პოლიციას ყველაზე მეტად ენდობა სახელმწიფო სტრუქტურის წარმომადგენელთა 55%. სამაგიეროდ, ისინი სოფელში გამგებლის წარმომადგენლის ჩარევას ნაკლებად ეფექტურად მიიჩნევენ (11%). ამ ინსტიტუტისადმი ნდობა ყველაზე მეტად დააფიქსირეს დაუსაქმებელმა რესპონდენტებმა (29%) (იხ. ცხრილი N4).

ცხრილი N4

	პოლიცია	სოფლის რწმუნებული	სოც. მუშაკი	სასამართლო	პედაგოგი	არასამთავრობო	არცერთი
სახელმწიფო სტრუქტურა	55%	11%	23%	3%	1%	3%	4%
კერძო სტრუქტურა	28%	16%	32%	4%	2%	4%	14%
სოფლის მეურნეობა	26%	14%	25%	16%	0%	7%	12%
უმუშევარი	22%	29%	22%	8%	2%	5%	12%

საინტერესოა ძალადობის აღკვეთაზე პასუხისმგებელი სუბიექტების მიმართ სხვადასხვა ასაკობრივი კატეგორიის რესპონდენტების დამოკიდებულება. პოლიციისადმი ნდობა მეტია საშუალო ასაკის რესპონდენტებში. ამავე დროს მათ ჩარევას არ მიიჩნევენ მი-

ზანშეწონილად 75 წელზე მეტი ასაკის რესპონდენტები. სოციალური მუშაკის ინსტიტუტის აღიარება უფრო მეტად ხდება ახალგაზრდა ასაკის რესპონდენტებში და ამ რგოლისადმი ნდობის ხარისხი მცირდება ასაკობრივი ცენზის მატებასთან ერთად. ხაზგასმულია პედაგოგების ჩარევის არაეფექტურობა, თუმცა 66-დან 75 წლამდე რესპონდენტების 1% მიიჩნევს ამ რგოლს ქმედითად. იმ რესპონდენტთა უფრო დიდი წილი, ვინც თვლის, რომ ოჯახში ძალადობის საკითხში ჩარევა მხოლოდ ვნებს საკითხის მოგვარებას, ყველაზე მეტია 76-86 წლის ასაკის რესპონდენტებში. ნაკლებად არის დანახული არასამთავრობო სექტორის ჩარევის ეფექტიც (ყველაზე ნაკლებად - 66-75 წლის ასაკის რესპონდენტებში (0%), ყველაზე მეტად 76-86 წლის ასაკის გამოკითხულებში (16%) და ახალგაზრდებში (7-8%) (იხ. დიაგრამა N11).

დიაგრამა N11



	18-25	26-35	36-45	46-55	56-65	66-75	76-86
პოლიცია	23%	28%	38%	31%	37%	22%	0%
სოფლის რწმუნებული	13%	15%	24%	24%	26%	56%	50%
სოც.მუშაკი	30%	30%	24%	20%	11%	11%	0%
სასამართლო	16%	7%	5%	6%	11%	0%	0%
პედაგოგი	0%	3%	0%	2%	1%	11%	0%
არასამთავრობო	7%	8%	1%	2%	3%	0%	16%
არცერთი	11%	9%	8%	15%	11%	0%	33%

არანაკლებ საინტერესო იყო კავშირი ასაკობრივ კატეგორიასა და ინფორმირებულობის ხარისხს შორის (იხ. დიაგრამა N12).

დიაგრამა N12



კანონის შესახებ უფრო ინფორმირებული აღმოჩნდა 18-დან 25 წლამდე ახალგაზრდობა (მათი 90%). ყველაზე ნაკლებად ინფორმირებული კი - 36-დან 45 წლამდე რესპონდენტები (მათ 25%-ს არ ჰქონდა ინფორმაცია სამართლებრივ რეგულაციებზე).

4. კვლევის ძირითადი მიგნებები/დასკვნები

ფონდი „სოხუმის“ და ზუგდიდის გამგეობის ერთობლივი პროექტის ფარგლებში განხორციელებულმა კვლევამ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 48 სოფელში ძალადობის პრობლემის სიტუაციური მდგომარეობის შესახებ აჩვენა:

ოჯახში ძალადობის აღკვეთის სახელმწიფო კანონის არსებობის შესახებ რესპონდენტთა სრული უმრავლესობა არის ინფორმირებული - 88%. სქესისა და ინფორმირებულობის დონის კროსტაბულაციით (ურთიერთმიმართებით) დგინდება, რომ ქალთა

მეტმა ნაწილმა (84%) იცის კანონის არსებობა, ხოლო მამაკაცებს (78%) შედარებით ნაკლებად აქვთ კანონის შესახებ ინფორმაცია.

რაც შეეხება ინფორმირებულობის ხარისხს საქმიანობის სფეროს მიხედვით - სახელმწიფო სტრუქტურებში დასაქმებული ადამიანები ყველაზე უფრო ინფორმირებულნი არიან კანონზე (91%), მაშინ როცა სოფლის მეურნეობაში დაკავებულთა შედარებით მცირე ნაწილმა უწყის კანონის არსებობის შესახებ.

კანონის შესახებ უფრო ინფორმირებული აღმოჩნდა 18-დან 25 წლამდე ახალგაზრდობა (90%). ყველაზე ნაკლებად ინფორმირებული კი - 36-დან 45 წლამდე რესპონდენტები (25%).

რაც შეეხება პრობლემის აქტუალობას: რესპონდენტთა სრული უმრავლესობა სრულიად ეთანხმება (88%), ან ეთანხმება მოსაზრებას, რომ ძალადობის პრობლემა საქართველოში მწვავე და აქტუალურია, რაც იმას ნიშნავს, რომ მოცემული დებულება რესპონდენტთა მიერ მკვეთრად დადებითადაა შეფასებული, ანუ - მათი მხრიდან ოჯახში ძალადობის პრობლემის სიმწვავე აღიარებულია.

კვლევის შედეგების მიხედვით, რესპონდენტთა მხრიდან ძალადობრივი ქმედებების განმაპირობებელი მიზეზებიდან ყველაზე ხშირ შემთხვევაში მაპროვოცირებელ ფაქტორად დასახელებულია მატერიალური პრობლემები - 49.7%. გარდა ამისა, მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა ალკოჰოლურ და ნარკოდამოკიდებულებაზე, როგორც ძალადობის გამომწვევ მიზეზზე (საშუალოდ 15.3%). ეჭვიანობას (11.6%) და სტრესს (10.3%) თითქმის გათანაბრებული მაჩვენებლები აქვთ.

რესპონდენტების პასუხებიდან საინტერესოდ იკვეთება მკაფიო კავშირები ძალადობის კონკრეტულ ფორმებსა და მის გამომწვევ ფაქტორებს შორის. სტატისტიკური მონაცემების განხილვამ აჩვენა, რომ ის რესპონდენტები, რომლებიც ფიზიკური ძალადობის მსხვერპლნი არიან (ან გამხდარან), ძალადობის მაპროვოცირებელ ფაქტორად უფრო ხშირად უთითებენ ეჭვიანობას და ნარკომანია-ალკოჰოლიზმს, ხოლო ფსიქოლოგიური ძალადობის მსხვერპლნი - მატერიალურ პრობლემებს და აზრთა სხვადასხვაობას. აღნიშნული მოცემულობა შეიძლება ასეთი ილუსტრაციით გამოისახოს:



ეს მოდელი, ძირითადად, ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევაშია რელატიური (ანუ - შეფარდებითი) ძალადობის ზემოთ აღნიშნულ ფორმებთან. რაც შეეხება ბავშვთა მიმართ ძალადობას, კავშირი ძალადობის ფორმებსა და გამომწვევ მიზეზებს შორის განსხვავებულია და ფსიქოლოგიური თუ ფიზიკური ძალადობის ფაქტები უმრავლეს შემთხვევაში სტრესთან არის კავშირში. მხცოვანი ასაკის რესპონდენტები კი ძალადობრივი კონფლიქტების ყველაზე ძირითად მაპროვოცირებელ ფაქტორად მიიჩნევენ მატერიალურ სიდუხჭირეს (83%) (სტრესის - 17%, აზრთა სხვადასხვაობის - 16% ფაქტორი მათთვის სრულიად არ არის მნიშვნელოვანი).

დაზარალებულთა რეაგირება ოჯახში ძალადობაზე, ძირითადად, ასახავს პრობლემის მიმართ მათ სტერეოტიპულ განწყობას („ოჯახიდან ნაგავი არ გააქვთ“) და მაღალი ხარისხის ტოლერანტულობას, რადგან მსხვერპლთა უმეტესობა თავს იკავებს რადიკალური ან მკაცრი რეაგირებისაგან და კრიტიკულ სიტუაციებში არჩევს, მიმართოს ნათესავებს და მეგობრებს (19%), ან ამჯობინებს მოთმინებას და შეგუებას (12%). მხოლოდ 13% თვლის, რომ უნდა მიმართოს შესაბამის ორგანოებს.

აღსანიშნავია ფაქტი, რომ რესპონდენტებისთვის „ლაიკერტის შკალით“ მიწოდებული დებულება ძალადობის საკითხის აქტუალობისა და სიმწვავის თაობაზე დადებითად შეფასდა და გამოკითხულთა უმრავლესობა საკითხის სიმწვავეს თეორიულად ადეკვატურად

უდგება, თუმცა პარალელურად მისი გასაჯაროვებისგან თავს იკავებს, რაც ქმნის შთაბეჭდილებას, რომ ძალადობის თემა მათთვის აქტუალურია, მაგრამ ღიად ამაზე საუბარს თავს არიდებენ.

ჩვენთვის რელევანტური/სოციალურად მნიშვნელოვანია რესპონდენტთა რეალური დამოკიდებულებების გამოკვეთა ძალადობაზე რეაგირებისა და რეფერალური სუბიექტებისადმი ნდობის საკითხის მიმართ, რომლებიც ჩართულები არიან, ან/და ევალებათ ძალადობის შემთხვევების იდენტიფიცირება, შემთხვევების მართვა, პრევენციის კუთხით მუშაობა.

კვლევამ აჩვენა, რომ ქალების უმრავლესობა, რომელთაც ძალადობის შემთხვევაში მიმართეს ნათესავებს–მეგობრებს, ან ამჯობინეს მოთმინება, ოჯახში ძალადობის შემთხვევაში ყველაზე ეფექტურად პოლიციის (27%) და სოციალური მუშაკის ჩარევას თვლიან (26%). მათი მხრიდან ამ აბსტრაქტულ–პარადოქსულ მიდგომას ძალიან მარტივი ინტერპრეტაცია აქვს: საქართველოში ოჯახის „იდეალური ტიპისა“ და ტრადიციების გათვალისწინებით, ქალებს გამორჩეულად მოეთხოვებათ ოჯახურ ჰარმონიაზე ზრუნვა, ამიტომ, მიღებულია, რომ ინფორმაცია ძალადობის შესახებ, იქნება ეს, ფიზიკური, სექსუალური, ეკონომიკური თუ ფსიქოლოგიური, საიდუმლოდ უნდა შეინახონ და თავადვე სცადონ პრობლემასთან გამკლავება, სამართალდამცავი ან სოციალური დახმარების ორგანოების ჩარევის გარეშე.

ამ გენდერული სტერეოტიპების სიმყარეს, რაც თავისთავად ოჯახში ძალადობის დეტერმინანტად ითვლება, პირველ რიგში, იწვევს ქალების შიში, რომ, თუ არ დაემორჩილებიან მეუღლეს, მარტო დარჩებიან, ეკონომიკური და სოციალური მხარდაჭერის გარეშე, ამიტომ ისინი თვლიან, რომ ოჯახის პრობლემები ოჯახშივე უნდა მოგვარდეს.

გამოკითხულების მხრიდან ოჯახში ძალადობის, ოჯახში კონფლიქტური სიტუაციების მოგვარებისა და ძალადობის პრევენციის საკითხში სოფლის რწმუნებულებისადმი გამოვლენილი სანდოობის შედარებით დაბალი მაჩვენებელი, სავარაუდოდ, თავად გამგებლების წარმომადგენელთა ძალადობის სფეროში საკუთარი როლისა და პრეროგატივების დაბალი შეფასებისა და საკითხში გაუთვიცნობიერებლობის, რიგ შემთხვევებში არაკომპეტენტურობის შედეგია. სხვა შემთხვევაში, მათი მხრიდან თემში მაცხოვრებელთა რისკ ჯგუფის ოჯახების და ძალადობის პირვე-

ლადი იდენტიფიცირება და შესაბამის სტრუქტურებთან თანამშრომლობით შემდგომი ინტერვენცია ყველაზე ეფექტური საშუალება იქნებოდა თემში ძალადობის აღმოფხვრისა და პრევენციის საკითხში, ვინაიდან სოფლის რწმუნებულის, როგორც შუამავალი რგოლის, ინტერმედიაციის საშუალებით, რისკ ჯგუფის ოჯახებთან სოციალური მუშაკებისა თუ სამართალდამცავების დაკავშირება ძალადობის პრევენციის თუ მისი აღმოფხვრის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალება და გარანტია.

რაც შეეხება ქალთა ინფორმირებულობის და ძალადობაზე შესაბამისი რეაგირების საკითხს: გამოჩნდა, რომ, ერთი მხრივ, რესპონდენტებს აქვთ ინფორმაცია იმაზე, რომ კანონი არსებობს, მეორე მხრივ, სახეზეა ძალადობაზე რესპონდენტთა/მათი ახლობლების ფაქტობრივი რეაგირების დაბალი მაჩვენებელი. ეს ნიშნავს იმას, რომ, მიუხედავად შესაბამისი კანონმდებლობის არსებობისა, ქალებს ძალიან მწირი ინფორმაცია აქვთ თავიანთი უფლებების, საკანონმდებლო მექანიზმების შესახებ, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ დაზარალებულთა რეალური დაცვა.

ასევე, იმის მიუხედავად, რომ გამოკითხულთა დანარჩენმა ნაწილმა (განსაკუთრებით ახალგაზრდა კონტინგენტმა) იცის ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ სახელმწიფო კანონის არსებობის შესახებ, მათაც სრულიად გაუცნობიერებელი აქვთ ეს ინფორმაცია, ან არ აქვთ ნდობა კანონის მექანიზმების მიმართ.

კვლევის ერთ-ერთი მიგნება/დასკვნა მდგომარეობს იმაში, რომ გამოიკვეთა სოციალური მუშაკის ინსტიტუტის მეტი მიმღებლობა ახალგაზრდების მხრიდან (30%-30%) და ნაკლები - ასაკოვანი რესპონდენტების მხრიდან (11%-0%). ამის ახსნა შეიძლება იმით, რომ ეს ინსტიტუტი შედარებით ახალია და ამიტომ არასაკმარისად პოპულარულია სხვადასხვა ასაკის ადამიანებში.

საინტერესოა აღნიშნული დებულების ურთიერთმიმართება **გენდერულ მაჩვენებელთან,** რაც გვიჩვენებს, რომ ძალადობის პრობლემას ქალები უფრო აღიარებენ, ვიდრე მამაკაცები. ასევე - გენდერის ნიშნით ხდება სექსუალური ძალადობის (თუნდაც მხოლოდ 2%-ის მხრიდან) აღიარება: ამ პრობლემის არსებობას მხოლოდ ქალები ასახელებენ. ასევე, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, გენდერული ნიშნით ხდება ძალადობის საკითხისადმი მეტი შემგუებლობის დემონსტრირება ქალების მხრიდან.

აღსანიშნავია, რომ ძალადობის დომინანტური ფორმებიდან განსაკუთრებით გამოიკვეთა ფსიქოლოგიური ძალადობა (50%). შედარებით ნაკლებად დომინირებული ფორმა იყო ფიზიკური ძალადობა (32%). რაც შეეხება ეკონომიკური ძალადობის ფორმებს, გამოკითხულთა მხრიდან ასევე იყო დასახელებული (თუმცა, შედარებით ნაკლებად), როგორც ძალადობის გავრცელებული ფორმა (17%).

როგორც კვლევის მასალები გვიჩვენებს, სხვადასხვაა ქალების და კაცების მხრიდან ძალადობაზე რეაგირების ფორმებიც. ქალები უფრო ხშირად მიმართავენ ნათესავებსა და მეგობრებს (19%), უფრო ხშირად ამჯობინებენ მოთმინებას (12%). ყველაზე ხშირად არჩეული იყო პასუხი „არ ყოფილა შემთხვევა, როდესაც ჩემზე ან ჩემს ნათესავზე განხორციელდა ძალადობა“, რაც კიდევ ერთხელ ამყარებს ეჭვებს კვლევის ნაკლებ რეპრეზენტაბელურობაზე.

რაც შეეხება ოჯახში ძალადობის შემთხვევების მართვის, დახმარების ყველაზე ეფექტურ სუბიექტებს, აქაც გამოვლინდა გენდერული განსხვავებები: რესპონდენტი ქალებისათვის ესაა უფრო ხშირად სოციალური მუშაკის ინსტიტუტი (26%), მამაკაცებისათვის კი - სამართალდამცავი ორგანოები (33%).

საკითხისადმი სხვადასხვა სოციალური სტატუსის მქონე რესპონდენტთა დამოკიდებულება ასეთია: პოლიციას ყველაზე მეტად ენდობიან სახელმწიფო სტრუქტურის წარმომადგენლები (55%). სამაგიეროდ, ისინი სოფელში გამგებლის წარმომადგენლის ჩარევას ნაკლებად ეფექტურად მიიჩნევენ (23%). ამ ინსტიტუტისადმი ნდობა კი ყველაზე მეტად დააფიქსირეს დაუსაქმებელმა რესპონდენტებმა (29%).

რესპონდენტები ნაკლებად ხედავენ არასამთავრობო ორგანიზაციის ჩარევის მნიშვნელობას (4-5%). პედაგოგები კი, როგორც რეფერირების სუბიექტები, მისაღები აღმოჩნდა მხოლოდ გამოკითხულთა სრულიად უმნიშვნელო რაოდენობისათვის. აქაც გამოიყო გენდერული მაჩვენებელი: პასუხი დაფიქსირებული იყო მხოლოდ ქალი რესპონდენტების მხრიდან (2%).

იქიდან გამომდინარე, რომ განხორციელებული პროექტის ძირითადი ინსპირაციაა ოჯახში ძალადობის პრევენციისა და დაზარალებულთათვის სოციალური სერვისების მიწოდების საკითხის გაუმჯობესება რეგიონში არსებულ თემებში, მოცემული კვლევა საშუალებას იძლევა, გაკეთდეს გარკვეული რეკომენდაციები, რათა

გაუმჯობესდეს არსებული მდგომარეობა ძალადობის პრევენციისა და შემთხვევების მართვის, სტრუქტურათშორისი კოორდინაციის, სოციალური მომსახურების მიწოდების პრაქტიკის კუთხით.

5. სარეკომენდაციო წინადადებები:

1. სოციალური მუშაკის ინსტიტუტის პოპულარიზაცია ოჯახში ძალადობისაგან მეტი დაცვის, ძალადობის პრევენციის ხელშეწყობისათვის

2. ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლების უწყვეტი განათლება ოჯახში ძალადობის აღკვეთის საკანონმდებლო რეგულაციებზე

3. საინფორმაციო-საგანმანათლებლო მუშაობა, მოსახლეობაში ძალადობის პრობლემის სათანადო აღქმის ხელშეწყობის და ძალადობისაგან დაცვის მექანიზმების გაცნობის კუთხით

4. თვითმმართველობის აქტიური მონაწილეობა ოჯახში ძალადობის რეფერირებაში ჩართული სუბიექტების საქმიანობაში - ძალადობის პრევენციის ღონისძიებების ხელშეწყობის, ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვის, რისკ-ჯგუფის ოჯახებთან მუშაობის კუთხით

5. ძალადობის მსხვერპლთა დახმარების ეფექტური / გრძელვადიანი მუნიციპალური პროგრამების დანერგვა (ფსიქო-სოციალური, სამართლებრივი დახმარება, დასაქმებაში ხელშეწყობა)

6. სოფლებში საინიციატივო ჯგუფების შექმნა სოფლის გამგებლის მეთაურობით და სოფლის ინტელიგენციის მნიშვნელოვანი ფიგურების მეთაურობითვე, სოფლის მოსახლეობის რისკის მქონე ოჯახებთან მუშაობისათვის

7. სოფლის მოსახლეობის ფართო ინფორმირება ძალადობისაგან დაცვის კანონისა და რეფერალური მექანიზმების შესახებ

6. დანართი

ოჯახში ძალადობის პრობლემის სიტუაციური კვლევა ზუგდიდის მუნიციპალიტეტში

1. ასაკი: ---------
2. სქესი:
   1) მდედრობითი
   2) მამრობითი

3. საცხოვრებელი ადგილი (მიუთითეთ სოფლის სახელი) -----

4. სამუშაო ადგილი:
   1) სახელმწიფო სტრუქტურა
   2) კერძო სტრუქტურა
   3) სოფლის მეურნეობა
   4) უმუშევარი

5. რამდენად ეთანხმებით დებულებას: „ოჯახში ძალადობა აქტუალური, მწვავე საკითხია?“
   1) სრულიად ვეთანხმები
   2) ვეთანხმები
   3) არც ვეთანხმები, არც არ ვეთანხმები
   4) არ ვეთანხმები
   5) სრულიად არ ვეთანხმები

6. იცით თუ არა ოჯახში ძალადობის აღკვეთის სახელმწიფო კანონის არსებობის შესახებ?
   1) კი
   2) არა

7. განხორციელებულა თუ არა თქვენზე, (თქვენი ოჯახის რომელიმე წევრზე, ან თქვენს ახლობელზე, მეზობელზე) რაიმე სახის ძალადობა ოჯახის წევრის მხრიდან

1) დიახ (გადადით მე-8 კითხვაზე)
2) არა (გადადით მე-9 კითხვაზე)
99) მიჭირს პასუხის გაცემა

8. თუ „კი“, ვისზე ხორციელდება ძალადობა უფრო ხშირად?

8.1 1) ქალზე
2) ბავშვზე
3) მამაკაცზე
4) მოხუცზე
99) სხვა

8. 2. თუ „კი“ ჩამოთვლილთაგან, ძალადობის რა ფორმას ჰქონდა ადგილი თქვენს შემთხვევაში?

1) ფიზიკური
2) ფსიქოლოგიური (დამცირება, შანტაჟი, სიტყვიერი შეურაცხყოფა, ლანძღვა–გინება, იძულება)
3) ეკონომიკური
4) სექსუალური (გაუპატიურება, სექსუალური კავშირის დაძალება მეუღლეზე)

9. თქვენი შეხედულებით, ოჯახურ კონფლიქტსა და ძალადობას რა მიზეზები განაპირობებენ?

1) სტრესი
2) მატერიალური პრობლემები
3) აზრთა სხვადასხვაობა
4) ეჭვიანობა
5) ალკოჰოლიზმი, ნარკომანია, სხვა დამოკიდებულებები
99) სხვა----------

10. თქვენზე, ან თქვენს ახლობელზე განხორციელებული ძალადობის შემთხვევაში, როგორი იყო თქვენი ან მათი მხრიდან რეაგირება (რა მოიმოქმედეთ / ეს, ვის მიმართეთ / ეს)?

1) მივმართე შესაბამის ორგანოებს
2) მივმართე ნათესავებს, მეგობრებს
3) ვეცადე, თავად გამეწია წინააღმდეგობა და მომეგვარებინა სიტუაცია
4) გავეყარე, განვქორწინდი
5) ვამჯობინე მოთმინება
6) არ ყოფილა შემთხვევა, როდესაც ჩემზე ან ჩემს ნათესავზე განხორციელდა ძალადობა
99) სხვა----------

11. ვის ჩარევას თვლით უფრო ეფექტურად ოჯახში ძალადობის შემთხვევებში

1) პოლიცია
2) სოფლის რწმუნებული
3) სოციალური მუშაკი
4) სასამართლო
5) პედაგოგი
6) არასამთავრობო ორგანიზაცია
7) არცერთი

გმადლობთ თანამშრომლობისათვის!

კულტურულ-ჰუმანიტარული
ფონდი „სოხუმი“

პროექტის კოორდინატორი - ალლა გამახარია
ასისტენტი - თეა გოლეთიანი

კვლევაზე მუშაობდნენ:
ემა კამკია
თამარ კალანდაძე
ანა მამულია

რედაქტორი - ლალი შენგელია
დიზაინი - ლია კოსტავა

მისამართი:
ქ. ქუთაისი, მგალობლიშვილის 6
ტელ: 27 29 02 ფაქსი: 27 13 68
ელფოსტა: womansukhumi@gmail.com
ვებგვერდი: www.fsokhumi.ge


91%
86%
75%
79%
9%
14%
25%
21%
დიახ, ინფორმირებულია კანონის შესახებ
არა, არ არის ინფორმირებული კანონის შესახებ